The USAID Agriculture Program
USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა

# ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების საგრანტო პროგრამა არაკომერციული ბიზნეს ასოციაციებისთვის

## თემა: ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია ბიზნეს კავშირების გაუმჯობესების გზით

**მოთხოვნა განაცხადების წარდგენის შესახებ (RFA) No.CBG-011/0224**

გამოცხადების თარიღი: **2023 წლის 24 თებერვალი**
კითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა: **2023 წლის 10 მარტი, 14:00**
განაცხადების მიღების ბოლო ვადა: **2023 წლის 28 მარტი, 17:00**

ძვირფასო განმცხადებელო,

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა აცხადებს ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების საგრანტო პროგრამის ახალ რაუნდს, რომლის მიზანია სექტორული და მულტი პროფილური ბიზნესს ასოციაციების[1] მხარდაჭერა. აღნიშნული საგრანტო პროგრამის მეშვეობით USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა, ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან კოორდინირებით გეგმავს ბიზნეს ასოციაციების მხარდაჭერას, რომლებიც მოღვაწეობენ ადგილობრივ ღვინის სექტორში, რათა ხელი შეეწყოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას. ორგანიზაციის ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების გრანტები გაიცემა და განხორციელდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და აშშ-ის მთავრობის დებულებებისა და USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის გრანტების ადმინისტრირების შიდა პოლიტიკის შესაბამისად.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **2023 წლის 28 მარტი** (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ამ მოთხოვნის *„III ნაწილი. ინფორმაცია განაცხადის წარდგენის შესახებ“*).

განაცხადის წარდგენის და შევსების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა ჩაატარებს საინფორმაციო შეხვედრას **2023 წლის 7 მარტს, 14:00 საათზე** (მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. 47, ოთახი 22). განმცხადებლებს, ასევე, შეუძლიათ კითხვების დასმა ელ.ფოსტის საშუალებით (grants@apgeorgia.org) **2023 წლის 10 მარტი.**

[1] [1]ბიზნეს ასოციაცია არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომლის მიზანია თავისი წევრების ბიზნეს ინტერესების ხელშეწყობა. ამ ტიპის ასოციაცია, როგორც წესი ახორციელებს ისეთ აქტივობებს, რომელიც ინდივიდუალური კომპანიისათვის იქნებოდა გაუმართლებლად ძვირი, ან დროის ხარჯვასთან დაკავშირებული, მაგალითად ლობირება, ინფორმაციის შეგროვება, კვლევა და ინდუსტრიის სტანდარტების დადგენა.

# I ნაწილი. პროგრამის აღწერა

## IA. USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის შესახებ

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სოფლის მეურნეობის ხუთწლიანი პროგრამის მიზანია, მდგრადი საბაზრო სისტემების დანერგვის გზით, წაახალისოს სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებსაც გააჩნია სამუშაო ადგილების შექმნისა და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (MSME)[2] შემოსავლების ზრდის მკაფიო პოტენციალი. USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა გასცემს თანამონაწილეობაზე დაფუძნებულ გრანტებს და ამასთანავე, ტექნიკურ დახმარებას უწევს ფერმერებს და აგრობიზნესებს მებაღეობა-მებოსტნეობის ღირებულებათა ჯაჭვში არსებული ხარვეზების გამოსავლენად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარებას, ღირებულებათა ჯაჭვის აქტორთა შორის კავშირების გაფართოებას, ბაზარზე ხელმისაწვდომობას და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, ასევე კოოპერატივების, ასოციაციების და სერვისის/საინფორმაციო/ექსტენციის მიმწოდებლების შესაძლებლობების გაუმჯობესებას.

## IB. საგრანტო პროგრამის აღწერა

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამამ გამოავლინა მაღალი პოტენციალის მქონე მებაღეობა-მებოსტნეობის ღირებულებათა ჯაჭვები და კლასტერები სამუშაო ადგილების შექმნისა და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების შემოსავლის ზრდის თვალსაზრისით. აღნიშნული ღირებულებათა ჯაჭვები მოიცავენ კენკრას, თესლოვან და კურკოვან ხილს, სამედიცინო დანიშნულების მცენარეებს (მწვანილის ჩათვლით), მალფუჭებად ბოსტნეულს, სუფრის ყურძენს, კაკლოვან კულტურბს, მანდარინს და ღვინოს. პროგრამა საინვესტიციო და მიზნობრივ ტექნიკურ დახმარებას უწევს მებაღეობა-მებოსტნეობის სექტორში მოქმედ, ბაზარზე ორიენტირებულ საწარმოებს, საწარმოო კლასტერებს, ასოციაციებსა და მომსახურების/ინფორმაციის/კონსულტაციების მიმწოდებლებს, რათა გააძლიეროს აგრობიზნესების შესაძლებლობები და ხელი შეუწყოს საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა მჭიდროდ თანამშრომლობს საკონსულტაციო კომპანიებსა და ბიზნეს ასოციაციებთან. ამ თანამშრომლობის მიზანია შერჩეულ ღირებულების ჯაჭვებში ტექნიკური დამხარების სხვადასხვა პროექტის განხორციელება. ეს ორგანიზაციები, თავიანთი საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით, ქმნიან ეფექტურ პლატფორმას, რომელიც ემსახურება თანამედროვე ცოდნისა და მოწინავე პრაქტიკის გაზიარებას, ინოვაციური მექანიზმების შემუშავებას მეტი ფერმერისა და აგრობიზნესისთვის, პარტნიორობის ხელშეწყობას, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სპეციფიკაციების მომზადებას, აგრეთვე, ბიზნესის საერთო აზრის ფორმირებას პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

ექსპორტის ხელშეწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამისათვის, რომელიც უზრუნვეყოფს მრავალმხრივ მხარდაჭერას ადგილობრივი ექსპორტიორებისათვის ტექნიკური ექსპერტიზის, თანამედროვე სურსათის უვნებლობის

[2] საწარმოს ზომა განისაზღვრება სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების რაოდენობით: თანამშრომელთა რაოდენობა მიკრო საწარმოში 1-10 ადამიანს შეადგენს, მცირე საწარმოში - 11-50-ს და საშუალო საწარმოში - 51-100-ს, და ასევე, წლიური ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 60 მილიონ ლარს.

სერტიფიცირების, საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის და ბიზნეს კავშირების ჩამოყალიბების მიმართულებით.

ღვინო საქართველოს მნიშვნელოვანი საექსპორთო საქონელია, რომლის ექსპორტის ღირებულებამ 2022 წლის 9 თვის მონაცემებით შეადგინა 180 მილიონი აშშ დოლარი, რაც 7%-ით მეტია 2021 წლის ამავე პერიოდზე. მიუხედავად დადებითი დინამიკისა, ეს სექტორი ნელა ვითარდება ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით, მაშინ როდესაც რუსეთის ფედერაცია რჩება ძირითად სავაჭრო პარტნიორად 60%-ზე მეტი წილობრივი მაჩვენებლით ღვინის მთლიან ექსპორტში. უკრაინაში მიმდინარე ომის ნეგატიურ ზეგავლენასთან ერთად, ამ ფაქტორმა განაპირობა სტრატეგიულ ბაზრებზე დივერსიფიკაციის ზრდის საჭიროება. ქართული ღვინო უკვე წარმოადგენილია აშშ-ს, გერმანიის, ბალტიის ქვეყნების და პოლონეთის ბაზრებზე, სხვა დასავლურ ბაზრებთან ერთად. გარდა ამისა, არსებობს ახალი და პერსპექტიული ბაზრები ქართული ღვინისათვის აზიის მიმართულებით, მათ შორის სამხრეთ კორეა და იაპონია. არის მოლოდინი, რომ ამ ბაზრებზე განხორციელებული მიზნობრივი მარკეტინგული კამპანია აამაღლებს ცნობადობას, მოიზიდავს ახალ კლიენტებს და გაზრდის ქართული ღვინის მოხმარებასა და გაყიდვებს.

აღნიშნული საგრანტო პროგრამის მეშვეობით USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა, ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან კოორდინირებით გეგმავს ბიზნეს ასოციაციების მხარდაჭერას, რომლებიც მოღვაწეობენ ადგილობრივ ღვინის სექტორში, რათა ხელი შეეწყოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას.

მიმდინარე მოთხოვნის (RFA) No. CBG-011/0224 ფარგლებში, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა გასცემს ადგილობრივ ორგანიზაციებზე ტექნიკური შესაძლებლობის განვითარების გრანტს შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებით:

| **მიმართულება** | **დანიშნულება** | **გრანტების სავარაუდო რაოდენობა** | **გრანტის მაქსიმალური ოდენობა** | **გრანტის მიმღების წვლილის მოთხოვნა, %** |
|---|---|---|---|---|
| ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია ბიზნეს კავშირების გაუმჯობესების გზით | გრანტის მიმღებმა უნდა ითანამშრომლოს ადგილობრივ სტარტაპ კომპანიებთან და ღვინის ექსპორტიორებთან, რათა მათი დახმარებით ქართული ღვინო უკეთ იყოს წარმოდგენილი მაღალი ღირებულების ბაზრებზე, ასევე მხარდაჭერილი იყოს ბიზნეს კავშირები საერთაშორისო სავაჭრო გამოეფენებში მონაწილეობით, ჩატარდეს ღვინის დეგუსტაციები მაღალი დონის ღვინის ღონისძიებებზე, ორგანიზება გაეწიოს B2B ფორმატის შეხვედრებს | 1 | **75,000 აშშ დოლარი** (ანუ პროექტის მთლიანი ღირებულების არაუმეტეს 70%) | პროექტის მთლიანი ღირებულების მინიმუმ 30% |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და განხორციელდეს სხვა აქტივობები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბაზარზე გაუმჯობესებული შეღწევადობა. საბოლოო ჯამში შემოთავაზებულმა აქტივობებმა დადებითი და გაზომვადი ზეგავლენა უნდა იქონიონ მიზნობრივ ბაზრებზე ქართული ღვინის გაყიდვების მიმართულებით. სინერგიისის მისაღწევად, რეკომენდებულია დაგეგმილი აქტივობების კოორდინირება ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან. | | | |

### IC. უფლებამოსილება და მარეგულირებელი დებულებები

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის გრანტები გაიცემა აშშ-ს საგარეო საქმეთა კანონის, ფედერალური რეგულაციების კოდექსისა (CFR) (2 CFR 200) და USAID-ის ავტომატური დირექტივის სისტემის (ADS) 303-ე თავის „გრანტები და თანამშრომლობის ხელშეკრულებები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის“ შესაბამისად. USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი გრანტები შეესაბამება USAID-ის მოქმედი სტანდარტისა და აუცილებელი მოქმედი დებულებების პირობებს და USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის საგრანტო პროცედურებს.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამას მოეთხოვება უზრუნველყოს USAID-ის საგრანტო თანხების მიმღები ყველა განმცხადებლის მხრიდან წინამდებარე წესებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება, რომლებიც ვრცელდება ინდივიდუალური გრანტის გაცემის შესაბამის პირობებზე. USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, USAID-ი უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის გრანტების გაცემის უფლებამოსილება ან მიმდინარე გრანტები.

## II ნაწილი. საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

### IIA. გრანტის მიმღები უფლებამოსილი ორგანიზაციები

განმცხადებლები, რომლებიც წარადგენენ განაცხადებს მიმდინარე RFA-ს საპასუხოდ, უნდა იყვნენ საქართველოში ლეგალურად რეგისტრირებული პირები და საგრანტო რესურსების მიღების წინაპირობის სახით უნდა წარმოადგინონ სარეგისტრაციო დოკუმენტები.

მიმდინარე მოთხოვნის ფარგლებში USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფორმალური საგრანტო მხარდაჭერა შეიძლება გავრცელდეს შემდეგ სუბიექტებზე:

- არაკომერციული ბიზნეს ასოციაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები

## IIB. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების გრანტის მისაღებად უფლებამოსილ პირად ჩაითვლება განმცხადებელი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ შესაბამისობის კრიტერიუმებს:

- ფინანსური და ტექნიკური ჩანაწერების ხელით ან ელექტრონულად წარმოების დადასტურებული უნარი;
- ბენეფიციარების მნიშვნელოვან რაოდენობაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა მათი საქმიანობის სფეროში და შერჩეულ ღირებულებით ჯაჭვებში, რასაც შედეგად მოჰყვება დასაქმებისა და სოფლად შემოსავლების ზრდა;
- იყოს საქართველოში იურიდიულად რეგისტრირებული იურიდიული პირი;
- დაიცვას ბიზნესის ეთიკის მაღალი სტანდარტების, და მათ შორის საქმიანი გარიგებებისა და ჩანაწერების წარმოების გამჭვირვალობის ვალდებულება;
- წარადგინოს განაცხადი - მოთხოვნით ან მის გარეშე - USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად;
- განახორციელოს საქართველოს საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტები. გრანტის ყველა მიმღები მზად უნდა იყოს დამოუკიდებელი ფინანსური მიმოხილვის ან აუდიტის ჩასატარებლად, მოთხოვნისამებრ;
- USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის გრანტი არ უნდა აღემატებოდეს არაკომერციული ორგანიზაციის საგრანტო პროექტის განსახორციელებლად საჭირო ჯამური სავარაუდო ღირებულების 70%-ს, არანაკლებ 30%-სა უზრუნველყოფილი უნდა იყოს არაკომერციული გრანტის მიმღები ორგანიზაციის მიერ ფულადი და/ან ნატურალური ფორმით შენატანების სახით;
- თანახმაა განახორციელოს სტაჟირების პროგრამა, რომელიც მისცემს შესაძლებლობას მოქმედ უნივერსიტეტის სტუდენტებს, ან მათ ვინც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დაამთავრა უნივერსიტეტი მიიღონ ანაზღაურებადი სტაჟირება კვირაში მინიმუმ 20 საათის ხანგრძლივობით, საოპერაციო პერიოდის განმავლობაში;
- საჭიროების შემთხვევაში, თანახმა იყოს დაიცვას მისაღები გარემოსდაცვითი სტანდარტები და წარმოადგინოს ინფორმაცია შესაძლო გარემოსდაცვითი რისკებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ. უარყოფითი გარემოსდაცვითი შეფასება შეიძლება განმცხადებლის დისკვალიფიკაციის პირობა იყოს;
- სრულად გაიაროს წინასწარი შეფასების პროცესი;
- დაეთანხმოს და ხელი მოაწეროს შესაბამის სერტიფიკატებს, როგორიცაა ლობირების სერტიფიკატი; ტერორიზმის დაფინანსების სერთიფიკატი; ნარკორეალიზატორების დახმარების აკრძალვა; და მიმღების სერტიფიკატი;
- დაეთანხმოს ნებისმიერი მოქმედი სავალდებულო სტანდარტული დებულებებისა და მოთხოვნილი დებულებების პირობებს, რომლებიც ვრცელდება არაამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, თუ ასეთი გამოიყენება; და
- დაადასტუროს, რომ ორგანიზაციას/ფიზიკურ პირს შეერთებული შტატების მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების მიღება არ აქვს აკრძალული, შეჩერებული ან ასეთი აკრძალვა არ არის შემოთავაზებული.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა განიხილავს ყველა განაცხადს, თუმცა, უპირატესობა მიენიჭება იმ განაცხადებს, რომლებშიც განსაზღვრული იქნება: ზეგავლენის მოხდენა ბენეფიციარების უფრო ფართო აუდიტორიაზე, ქალების და ახალგაზრდების, დაბალშემოსავლიანი და ისტორიულად არახელსაყრელ პირობებში მცხოვრები კატეგორიების ჩართულობა, ასევე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

## IIC. არაუფლებამოსილი ორგანიზაციები

- კომერციულ საქმიანობაში ჩართული პირები;
- პირები, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი;
- ნებისმიერი საერთაშორისო საჯარო ორგანიზაცია (PIO);
- სამთავრობო უწყება ან სახელმწიფოს სრულ ან ნაწილობრივ საკუთრებაში არსებული ორგანიზაცია;
- ორგანიზაცია, რომელმაც არამიზნობრივად გამოიყენა წარსულში USAID–ის სახსრები;
- პოლიტიკური პარტიები, დაჯგუფებები, ინსტიტუტები ან მათი შვილობილი ორგანიზაციები და ფილიალები;
- ორგანიზაცია, რომელიც იცავს, ხელს უწყობს ან მხარს უჭერს ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას ან არაკანონიერ საქმიანობას;
- რელიგიური ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ დისკრიმინაციული და რელიგიური მიზნები და სურთ გრანტის გამოყენება ამ დანიშნულებით;
- ნებისმიერი დაწესებულება, რომელიც შეტანილია ფედერალური შესყიდვებისა და არაშესყიდვების პროგრამებიდან გამორიცხულ პირთა სიაში (SAM.gov);
- ნებისმიერი ორგანიზაცია, რომლის რომელიმე წევრი შეყვანილია აშშ–ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხაზინის უცხოური აქტივების კონტროლის განყოფილების (OFAC) http://www.treasury.gov/resource-center/sanctions/SDNList/Pages/default.aspx და აკრძალულ პირთა სიაში;
- ორგანიზაცია, რომლის მმართველობაში მყოფი რომელიმე თანამშრომელის ოჯახის წევრი (მეუღლე, შვილი, მშობელი,და ან ძმა) არის CNFA–ის ან USAID–ის თანამშრომელი.
- პირები ან წევრები, რომლებიც ეწევიან ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიანობას;
- პირები ან წევრები, რომლებიც ახორციელებენ, მონაწილეობენ ოპერაციებში ან აწვდიან რესურსებს ტერორიზმთან ასოცირებულ პირებს ან ორგანიზაციებს;
- პირები, რომელთაც აკრძალული, შეჩერებული ან სხვაგვარად აქვთ ნათქვამი უარი აშშ-ს მთავრობის მიერ გრანტის მიღებაზე.

დაუშვებელია გრანტის სახსრების გამოყენება შემდეგი მიზნებისთვის:

- კერძო და საზეიმო ღონისძიებების, წვეულებებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები;
- გრანტის ფარგლებში აკრძალულია საქონლის შესყიდვა, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო მასალების, საავტომობილო საშუალებები, მედიკამენტები, პესტიციდები, მეორადი დანადგარები და სასუქი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოპოვებულია გამონაკლისი და დასტური USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამიდან. ზემოხსენებული საქონლის შესყიდისათვის საჭიროა დამატებითი თანხმობა USAID-ისგან. სასურველია რომ აპლიკანტებმა არ მოითხოვონ აკრძალული აღჭურვილობის შესყიდვა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც ეს აღჭურვილობა აუცილებელია საგრანტო მიზნების მისაღწევად;
- USAID-ის დებულებების შესაბამისად, აკრძალული საქონლის შესყიდვა, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგს: პოლიციისა და სამართალდამცავი ორგანოების აღჭურვილობა, აბორტებისთვის განკუთვნილი ხელსაწყოები და მომსახურება, ამინდზე ხელოვნური ზემოქმედების მოწყობილობები, ფუფუნების საგნები და აზარტული თამაშების აპარატურა;

- ნებისმიერი შესყიდვა ან საქმიანობა, რომელიც USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის დასკვნით არ შეესაბამება საგრანტო მიზნებს, რაც გულისხმობს გრანტის მიმღები ორგანიზაციის ხარჯებს, რომლებიც არ არის პირდაპირ დაკავშირებული შემოთავაზებული პროექტის განხორციელებასთან;
- წინა ვალდებულებები და/ან დაუფარავი ვალები;
- ჯარიმები და/ან საურავების გადახდა;
- ფულადი შემოწირულობები;
- არაპირდაპირი ხარჯები, რომელიც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ზედნადებ ხარჯებს და დამატებით ანაზღაურებას;
- სხვა არანებადართული ხარჯები, რომლებიც განსაზღვრულია ხარჯების პრინციპებში, 2 CFR 200-ის E ქვეპუნქტი (იხ. მითითება ზემოთ).

### IID. მოთხოვნილი საკვალიფიკაციო აქტივობები

წინამდებარე მოთხოვნის მიხედვით, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მიერ დაფინანსებული საქმიანობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით კრიტერიუმებს:

- შემოთავაზებული პროექტი ხელს უწყობს განმცხადებელი ორგნიზაციების მდგრად განვითარებას გონივრულ ვადაში და გრძელვადიანი ზრდის კარგი პერსპექტივით;
- შემოთავაზებული პროექტი დადებით გავლენას იქონიებს პროგრამის ფარგლებში შერჩეულ ღირებულებათა ჯაჭვების ისეთ მოთამაშეებზე, როგორებიცაა ფერმერები, აგრობიზნესები და სხვა შესაბამისი ორგანიზაციები;
- საგრანტო პროექტში მონაწილეობისთვის შემოთავაზებული საერთაშორისო კონსულტანტების კანდიდატურები შეთანხმებული უნდა იყოს USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამასთან.

## III ნაწილი. ინფორმაცია განაცხადის წარდგენის შესახებ

### III.A ინფორმაცია განმცხადებლის შკითხვებთან დაკავშირებით

ამ გამოცხადებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვა წარდგენილი უნდა იქნას USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის გრანტების მენეჯერის სახელზე ელქტრონული ფორმით ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე: grants@apgeorgia.org **არაუგვიანეს 2023 წლის 10 მარტის 17:00 საათისა.**

განმცხადებელმა ამ გამოცხადებასთან დაკავშირებული კითხვები უნდა წარადგინოს წერილობით; სატელეფონო ზარების საშუალებით დასმული შეკითხვები არ განიხილიება. შეკითხვები და დამატებითი განმარტებები, აგრთვე შესაბამისი პასუხები შესაძლებელია მიიღოს ყველა დაინტერესებულმა პირმა. მხოლოდ CNFA-ის მიერ წერილობით გაცემული პასუხები ჩაითვლება ოფიციალურად. ნებისმიერი ზეპირი ფორმით მიღებული ინფორმაცია CNFA-ის თანამშრომლებისაგან, ან სხვა რომელიმე უწყებისაგან არ იქნება განხილული როგორც ოფიციალური პასუხი ამ დოკუმენტის საკითხებთან დაკავშირებით.

### III.B განაცხადის წარდგენის მოთხოვნები

განაცხადები (ყველა დანართისა და თანმხლები დოკუმენტაციის ჩათვლით) წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ***ელექტრონული ფორმით, ინგლისურ ენაზე***. ელექტრონული განაცხადი უნდა გაეგზავნოს USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის გრანტების მენეჯერს ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე: grants@apgeorgia.org და სათაურის ველში მითითებული უნდა იყოს: (**RFA) No. CBG – 011 /0224.**

განაცხადი მიღებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება RFA-ში განსაზღვრული ფორმით და მოთხოვნების შესაბამისად. საგრანტო განაცხადის პაკეტი მოიცავს შემდეგ დოკუმენტებს:

1. სათანადოდ შევსებული, ხელმოწერილი და ბეჭედიანი განაცხადის ფორმა (დანართი A), რომელიც მოიცავს თქვენი ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე დაბეჭდილ საგრანტო განაცხადის გარეკანს (დანართი 1 – „განმცხადებლის განცხადება (ვალდებულებები და ორგანიზაციის დეკლარაცია“) თანდართულ 1-4 დანართებთან ერთად. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ განაცხადი მომზადებული უნდა იყოს USAID- ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მიერ დამტკიცებული ფორმატის მიხედვით;
2. კონსორციუმებმა უნდა წარადგინონ კონსორციუმის წევრების მიერ დამოწმებული წერილი რწმუნებულების შესახებ, საგარანტიო ან ურთიერთგაგების მემორანდუმი;
3. რეგისტრაციის მოწმობის ასლი (ეროვნული რეესტრიდან, ხელმისაწვდომია www.napr.gov.ge -ზე).

**განაცხადები ყველა საჭირო საბუთისა და თანხმლებ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2023 წლის 28 მარტისა (17:00 ადგილობრივი დროით). დაგვიანებული ან არასრული განაცხადები არ განიხილება.**

წინამდებარე მოთხოვნის (RFA) გამოცემა და დახმარება განაცხადის მომზადებაში არ შეადგენს USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მიერ გრანტის მინიჭების ან რაიმე ვალდებულების აღების საფუძველს და არ ავალდებულებს პროგრამას, რომ აანაზღაუროს განაცხადის მომზადება–წარდგენის ხარჯები. USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა იტოვებს უფლებას მიიღოს ან უარყოს ნებისმიერი განაცხადი. განმცხადებლებს წერილობით ეცნობებათ მათ განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

## IV ნაწილი. შეფასების კრიტერიუმები, შერჩევა და გრანტის გაცემა

წინამდებარე მოთხოვნის შესაბამისად, წარმოდგენილი განაცხადები შეფასდება ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით:

| | |
|---|---|
| **მოსალოდნელი შედეგის კოეფიციენტი**<br>• კატალიზატორის ეფექტი (უნდა აღიწეროს თუ როგორ შეუწყობნ ხელს შემოთავაზებული აქტივობები კონკრეტული შედეგების დადგომას, ან როგორ დააჩქარებენ ამ შედეგების მიღწევის პროცესს)<br>• სხვა დადებითი ეფექტი (მაგ. დადებითი გავლენა არაპირდაპირ ბენეფიციარებზე, სექტორის განვითარებაზე და სხვა; თუ არცერთი არ არის აღწერილი, ქულა "დაბალი" იქნება) | 20 |

| | |
|---|---|
| • მდგრადობის ფაქტორი (მაგ. საგრანტო პერიოდის დასრულების შემდეგ როგორ იქნება უზრუნველყოფილი შედეგების მდგრადობა. თუ არცერთი არ არის აღწერილი, ქულა "დაბალი" იქნება) | |
| **შმოთავაზების პროგრამული/ტექნიკური დიზაინი**<br>• განმცხადებელმა უნდა მიუთითოს, როგორ შეუწყობს ხელს ორგანიზაციის გაძლიერებას საგრანტო პროექტის პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები.<br>• რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული და აღწერილი პროგრამის კონკრეტული ელემენტები?<br>• რამდენად ზუსტად შეესატყვისება აღნიშნული ელემენტები USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მიზნებსა და საგრანტო პროგრამის დანიშნულებას?<br>• არის თუ არა თითოეული ელემენტის შედეგი მკაფიოდ აღწერილი და თუ შეესატყვისება პროგრამის დანიშნულებას?<br>• არის თუ არა თითოეული პროგრამული ელემენტის შედეგი მკაფიოდ განსაზღვრული და აღწერილი?<br>• არის თუ არა ეტაპები მკაფიოდ განსაზღვრული და აღწერილი თითოეული პროგრამული ელემენტისთვის?<br>• შეაფასეთ პროგრამის წარუმატებლობით განხორციელების რისკი | 20 |
| **შემოთავაზებული მენეჯმენტი**<br>• შემოთავაზებული ძირითადი პერსონალი<br>• ძირითადი პერსონალის მენეჯმენტის გამოცდილება და უნარები<br>• ორგანიზაციის შესაძლებლობათა განვითარება<br>• რამდენად ზუსტად შეესატყვისება  ძირითადი პოზიციები პროგრამულ დიზაინს | 15 |
| **ფინანსების მენეჯმენტი**<br>• რამდენად ზუსტად შეესატყვისება  ბიუჯეტის კატეგორიები პროგრამული დიზაინის ელემენტებს?<br>• რამდენად გონივრულია ბიუჯეტით გაწერილი ხარჯები, შესაბამისი პროგრამული ელემენტების გათვალისწინებით?<br>• მდგრადობის და საკუთარი თანამონაწილეობის შესასრულებლად განმცხადებლის უნარის შეფასება | 15 |
| **წინა საქმიანობა**<br>• რამდენად რელევანტურია წარსულში განხორციელებული საქმიანობა შემოთავაზებული საგრანტო აქტივობებისთვის?<br>• საორგანიზაციო გამოცდილების ხანგრძლივობა<br>• ძირითადი პერსონალის  გამოცდილება ( წლები)<br>• წარსულში განხორციელებული ფინანსური საქმიანობა | 20 |
| **გენდერული/ახალგაზრდების ინტეგრირება**<br>რამდენად შეუწყობს ხელს  შემოთავაზებული საგრანტო პროექტი ცნობიერების დონის ამაღლებას ან გენდერულ ან/და ახალგაზრდობის ინტეგრირებას (მაგ., აგრობიზნესის მესაკუთრე ქალებისთვის შემოთავაზებული მომსახურება, ინტერნების ჩართულობა, თუ ეს შესაძლებელია, ქალების მონაწილეობა საგრანტო აქტივობის განხორციელებაში და ა.შ. თუ არცერთი არ არის აღწერილი, ქულა "დაბალი" იქნება). | 10 |

| სულ: | 100 |
|---|---|

დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ შეფასება განხორციელდება ზემოთ მოყვანილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის საგრანტო შერჩევის კომიტეტის მიერ. შემდგომ განხილვას დაექვემდებარება მხოლოდ ის განაცხადები, რომლებმაც განხილვის შედეგად დააგროვეს 70 ქულაზე მეტი.

თუ გამოგზავნილი განაცხადი ჩაითვლება მისაღებად, CNFA დაუკავშირდება განმცხადებელს შემდგომი დისკუსიისათვის. აღნიშნული დისკუსია არ გახლავთ დაფინანსების წინაპირობა, ეს მხოლოდ გადაწყვეტილებაა რათა მოხდეს ერთობლივი მუშაობა ეფექტური საგრანტო პროექტის განვითარებისათვის. თუ აღნიშნული დისკუსია ვერ გამოავლენს საგრანტო აქტივობის პერსპექტიულობას, მაშინ USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა აცნობებს განმცხადებელს რომ პროგრამა აღარ არის დაინტერესებული საგრანტო პროექტის განხორციელებით. თუმცა, თუ ამ პროცესმა გამოავლინა განცხადების პერსპექტიული დიზაინი და კონცეფცია, პროგრამა ამცნობს განმცხადებელს ამ გადაწყვეტილებას.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა განახორციელებს წარმატებული პროექტების ადგილზე მონახულებას წინასწარი შეფასების განსახორციელებლად, რათა მოხდეს განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის დადასტურება, ადმინისტრაციული და ფინანსური მდგომარეობის შემოწმება და ჩატარდეს გარემოსდაცვითი საკითხების შესწავლა. თუ ჩატარებული ვიზიტი არ გამოავლენს მნიშვნელოვან დარღვევებს, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა მიაწოდებს განმცხადებელს მნიშვნელოვან ინსტრუქციების, ტექნიკურ მოთხოვნებს და გრანტის მიღებასთან დაკავშირებული ნაბიჯების ნუსხას. საუკეთესო განცხადების გამოვლენის შემდეგ მოხდება კონტრაქტის მექანიზმის განსაზღვრა (გამარტივებული ან სტანდარტული გრანტი).

**V ნაწილი. პირობები**

აპლიკანტი უნდა აცნობიერებდეს, რომ განაცხადის წარდგენა, არ იძლევა გრანტის მოპოვების გარანტიას, ასევე, არ უქმნის პროგრამას რაიმე ვალდებულებას, განაცხადის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების თვალსაზრისით. პროგრამა იტოვებს უფლებას, მიიღოს ან უარყოს განაცხადი, ასევე გადასინჯოს, ან შეცვალოს განაცხადში მითითებული პირობები, ამ უკანასკნელის გამოქვეყნების შემდეგ. აპლიკანტი უნდა აცნობიერებდეს, რომ USAID არ წარმოადგენს მხარეს, აპლიკანტსა და პროგრამას შორის წინამდებარე განაცხადთან დაკავშირებულ ურთიერთობაში, და ნებისმიერი კომუნიკაცია უნდა შედგეს თავად პროგრამასთან.

**დანართები:**

დანართი A – საგრანტო განაცხადის ფორმა ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების საგრანტო პროგრამისათვის

დანართი 1 - ტექნიკური განაცხადი

დანართი 2 - საგრანტო პროექტის განხორციელების განრიგი

დანართი 3 - პროექტის შესრულების გეგმა

დანართი 4 - ბიუჯეტი ნიმუში და აღწერილობა

დანართი A

# განაცხადის ფორმა ორგანიზაციის ტექნიკურ შესაძლებლობათა განვითარების გრანტებისთვის

თარიღი: ____________________
USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა
კოსტავას ქ. #47, 0179, თბილისი, საქართველო

საგანი: საგრანტო განაცხადი
თანმხლები წერილითა და დანართებით, ______________ (*ჩაწერეთ ორგანიზაციის სახელწოდება, სამართლებრივი სტატუსი და საგადასახადო მოწმობის საიდენტიფიკაციო ნომერი*) მოგმართავთ გრანტის მოსაპოვებლად USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამისგან.
მოვითხოვთ გრანტს *(ერთი წინადადებით აღწერეთ გრანტის დანიშნულება):*

| |
|---|
| |

საგრანტო პროექტის საერთო ღირებულებაა $_________.

ორგანიზაციის წილობრივი შენატანი: ფულადი სახით $_________; არა-ფულადი სახით $________.

შემოთავაზებული პროექტის/აქტივობის სავარაუდო **დაწყების** თარიღი: ________________.

შემოთავაზებული პროექტის/აქტივობის სავარაუდო **დასრულების** თარიღი: _________________.

განაცხადი შედგება შემდეგი მასალებისგან:

| | |
|---|---|
| დანართი 1 | ტექნიკური განაცხადი |
| დანართი 2 | საგრანტო პროექტის განხორციელების განრიგი |
| დანართი 3 | შესრულების გეგმა |
| დანართი 4 | ბიუჯეტი |

პატივისცემით,
*(სახელი და გვარი)*
*(პოზიცია)*
*(ორგანიზაცია)*

**დანართი 1**

**ტექნიკური განაცხადი**

1. **სატიტულო გვერდი.** *[განმცხადებელი უზრუნველყოფს ძირითად საკონტაქტო ინფორმაციას და ინფორმაციას ორგანიზაციის სტატუსის, რეგისტრაციის თარიღისა და დამფუძნებლების/პარტნიორების შესახებ].*

| | |
|---|---|
| **ორგანიზაცია/კომპანია:** | |
| **სამართლებრივი ფორმა:** | |
| A. **თუ ასოციაციაა:**<br>შენატანების ოდენობა<br>წევრების რაოდენობა<br>წლიური შემოსავალი<br>B. **თუ არასამთავრობო ორგანიზაციაა:**<br>დაფინანსების წყაროები<br>წლიური შემოსავალი<br>ყოველწლიური დაფინანსების პროგრამები | |
| **აქციონერთა რიცხვი/დირექტორთა საბჭოს წევრების სახელი და გვარი** (არსებობის შემთხვევაში): | |
| **რეგისტრაციის თარიღი და გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი:** | |
| **საკონტაქტო ინფორმაცია**<br>(საფოსტო მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა, URL): | |
| **საკონტაქტო პირი**<br>(სახელი და გვარი, თანამდებობა, ტელ., ელ. ფოსტა): | |

2. **ორგანიზაციის გამოცდილება, რომელიც რელევანტურია წარმოდგენილი საგრანტო აქტივობისთვის** [*წარმოადგინეთ კომპანიის/ორგანიზაციის და მომსახურების მიმოხილვა; აღწერეთ წარსულში განხორციელებული იგივე ან მსგავსი აქტივობები].*

3. **პროგრამის მიზანი**. [*მოკლედ აღწერეთ პროგრამის აქტივობები და დაგეგმილი შედეგები; წარმოადგინეთ შემოთავაზებული ღონისძიებების დასაბუთება, აქტივობები არ უნდა იმეორებდეს სხვა ორგანიზაციების, დონორების ან მთავრობის მიერ განხორციელებულ ანალოგიურ, მიმდინარე ღონისძიებებს].*

4. **მოსალოდნელი შედეგი**. განმცხადებელმა უნდა აღწეროს პროგრამის მოსალოდნელი შედეგი (ები) შემდეგ სფეროებში:

   **ა. კატალიზატორის ეფექტი** *[აღწერეთ მოსალოდნელი დადებითი შედეგი, რომელიც მოჰყვება საგრანტო პროექტის განხორციელებას ,ან რომელიც შეასრულებს კატალიზატორის როლს.]*

   **ბ. სხვა დადებითი ეფექტი** *[მიუთითეთ და თუ შესაძლებელია, რაოდენობრივად განსაზღვრეთ რა გავლენას იქონიებს პროგრამა არაპირდაპირ ბენეფიციარებზე, სექტორის განვითარებაზე, მოდელის განმეორებითობაზე, ასოციაციის შესაძლებლობების განვითარებაზე და ა.შ.]*

5. **პროგრამის დიზაინი.** განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ კომპონენტებს:

   ა. ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროგრამის მიზნის მისაღწევად და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

   - ძირითადი აქტივობა, რომელიც აუცილებელია პროგრამის მიზნის მისაღწევად,
   - თითოეული ძირითადი აქტივობის მოსალოდნელი შედეგი,
   - თითოეული მნიშვნელოვანი ქვეაქტივობა თითოეული ძირითადი აქტივობის ფარგლებში,
   - რესურსები, რომლებიც აუცილებელია ძირითადი აქტივობის შესასრულებლად:

   i) ადამიანური რესურსებისთვის - ძირითადი ამოცანების ან ელემენტებისა და ქვეამოცანების შესრულებისთვის საჭირო კვალიფიკაციები.

   ii) ფინანსური რესურსებისთვის - თითოეული ამოცანის შესრულების ღირებულება აშშ დოლარის გამოსახულებაში.

   ბ. განხორციელების გეგმა. თითოეული ძირითადი აქტივობისა და ქვეაქტივობების რიგითობისა და ვადების მკაფიოდ განსაზღვრა და აღწერა.

   გ. პროგრამის წარუმატებლობის რისკი. განმცხადებელმა უნდა განსაზღვროს და აღწეროს ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკები, რომლებმაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს პროგრამის წარმატებით დასრულებაზე.

6. **მენეჯმენტის სტრუქტურა**. აუცილებელია შემდეგი მინიმალური კომპონენტების გათვალისწინება:

   ა. საორგანიზაციო გამოცდილება და უნარი. განაცხადში აღწერილი უნდა იქნეს:
   - ძირითადი აქტივობებისა და მათი თითოეული ქვეაქტივობის შესრულებისთვის საჭირო საორგანიზაციო სტრუქტურის მკაფიოდ განსაზღვრა და აღწერა,
   - მსგავსი აქტივობების წარმატებით შესრულებაში წინა და მიმდინარე გამოცდილების ნათლად აღწერა და რეკომენდაციების მითითება, რომლებიც დაადასტურებს მაძიებლის მიერ წარსულში განხორციელებული საქმიანობის შედეგებსა და მის უნარებს.

ბ. ძირითადი პერსონალის მენეჯმენტის გამოცდილება და უნარები. ყველა პოზიცია, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეამოცანების შესრულებისთვის, განისაზღვრება როგორც ძირითადი პოზიცია და პირები, რომელთაც ეს პოზიციები უკავიათ, განისაზღვრებიან როგორც ძირითადი პერსონალი. განაცხადებაში აღწერილი უნდა იქნეს:

- ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციები. თითოეული პოზიციისთვის აუცილებელი კვალიფიკაციების მკაფიოდ აღწერა, რომელიც მნიშვნელოვანია ქვეამოცანების შესრულებისთვის,
- ძირითადი პერსონალი. ყველა იმ პირის სახელი და გვარი და რეზიუმე, რომელიც ძირითად პოზიციებზეა შემოთავაზებული,
- სხვა პერსონალი. საუკეთესო პრაქტიკა აჩვენებს, რომ განმცხადებელმა ასევე უნდა მიუთითოს თანამშრომლები, მათ შორის, მოწვეული კონსულტანტები, რომელთაც ფინანსური გეგმის სრულფასოვნად გაგების ხელშეწყობის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საგრანტო პროექტის განხორციელებისთვის.

გ. ორგანიზაციის შესაძლებლობათა განვითარება. განმცხადებელმა უნდა მიუთითოს როგორ შეუწყობს ხელს საგრანტო პროექტის ფარგლებში შემოთავაზებული აქტივობები შესაძლებლობების გაძლიერებას.

7. **მდგრადობის გეგმა.** განაცხადში აღწერილი უნდა იქნეს:

- როგორ უზრუნველყოფს გრანტის მიმღები საგრანტო პროექტის აქტივობით მიღწეული შედეგების მდგრადობას საგრანტო პერიოდის დასრულების შემდეგ.
- როგორ უზრუნველყოფს გრანტის მიმღები შედეგების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას და წარდგენას საგრანტო პერიოდის დასრულების შემდეგ.

## დანართი 2

## საგრანტო პროექტის განხორციელების განრიგი (ნიმუში)

შეავსეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი და მიუთითეთ როდის განხორციელდება თითოეული ძირითადი აქტივობა და ქვეაქტივობები. გთხოვთ, საჭიროებისამებრ შეცვალოთ მოცემული ცხრილი.

| აქტივობა | 2023 | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თებ | მარ | აპრ | მაი | ივნ | ივლ | აგვ | სექ | ოქტ | ნოე | დეკ |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | |

## დანართი 3

## შესრულების გეგმა

შეავსეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი და მიღწეული წინსვლის გაზომვისთვის შეიტანეთ მასში მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანები და მაჩვენებლები.

| აქტივობის აღწერა | შედეგი | გრძელვადიანი მოსალოდნელი ეფექტი | შენიშვნა |
|---|---|---|---|
| აქტივობა 1 | | | |
| აქტივობა 1.1 | | | |
| აქტივობა 1.2 | | | |
| აქტივობა 2 | | | |
| აქტივობა 2.1 | | | |
| | | | |
| | | | |

**დანართი 4**
**ბიუჯეტი (ნიმუში)**

| აღწერილობა | ერთეული | ერთეულის ფასი (აშშ დოლარი) | ერთეულების რაოდენობა | მთლიანი ხარჯები (აშშ დოლარი) | განმცხადებლის წვლილი (აშშ დოლარი) | USAID-ის სახსრები (აშშ დოლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| I. *შრომის ანაზღაურების ხარჯები* | | | | | | |
| | დღე | | | 0.00 | | |
| | დღე | | | 0.00 | | |
| | დღე | | | 0.00 | | |
| | დღე | | | 0.00 | | |
| *ქვეჯამი: შრომის ანაზღაურების ხარჯები* | | | **0** | **0.00** | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| II. მგზავრობა, მომსახურება და მიწოდება | | | | | | |
| | | | | 0.00 | | |
| | | | | 0.00 | | |
| | | | | 0.00 | | |
| | | | | 0.00 | | |
| *ქვეჯამი:* მგზავრობა, მომსახურება და მიწოდება | | **0.00** | | **0.00** | | |
| | | | | | | |
| III. სხვადასხვა | | | | | | |
| | თვეში | | | 0.00 | | |
| | თვეში | | | 0.00 | | |
| | თვეში | | | 0.00 | | |
| | თვეში | | | 0.00 | | |
| *ქვეჯამი:* სხვადასხვა | | | | **0.00** | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| ბიუჯეტი, სულ | | | | **0.00** | | |
| განმცხადებელთა წვლილი, სულ | | | | | | |
| მოთხოვნილი გრანტი, სულ | | | | | | |